



ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

კულტურული ფონის როლი ენის შესწავლის პროცესში

ზეინაბ ახვლედიანი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი
საქართველო, 6010 ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35
+995555007746, zeinab.akhvlediani@bsu.edu.ge
ORCID 0000-0002-1099-0955

აბსტრაქტი

ენის შესწავლის პროცესის სირთულეებზე მრავალი ნაშრომი დაწერილა. ენის შესწავლა ენობრივი სტრუქტურის გარდა, შესასწავლი ენის კულტურული ფონის აღწერასაც უნდა ემსახურებოდეს, ერთაშორისი ჯანსაღი კომუნიკაცია ენის ლინგვისტური სირთულეების გარდალახვასთან ერთად, ენის კულტურული კუთხიდან აღქმა-შესწავლასთანაც ასოცირდება, რაც შემსწავლელის მხრიდან განსაზღვრული ენობრივი კოლექტივისთვის დამახასიათებელი სტერეოტიპებისა და სამყაროს მათეული ხედვის აღქმას განაპირობებს.

ჩემი ინტერესის სფეროს ენისადმი ლინგვისტური მიდგომის პარალელურად, შემსწავლელის მიერ შესასწავლი ენის კულტურული ფონის შესახებ ინფორმაციულობის გამოვლენა, ენისადმი კონცეპტუალური მიდგომის საკითხში საჭირო რეკომენდაციების შემუშავებაზე მსჯელობა წარმოადგენს.

კვლევამ, რომელშიც მონაწილეობა ოცდაორმა თურქული ენის შემსწავლელმა ქართველმა მიიღო, ნათელი მოჰფინა შესა-

სწავლი (თურქული ენის) კულტურული სამყაროს შესახებ შემსწავლელთა ინფორმაციულობას, მოგვცა არსებული სურათის განხილვისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავების აუცილებლობაზე მსჯელობის საშუალება.

ანკეტური კვლევის შედეგმა შემდეგი სურათი გვიჩვენა: ქართველ ენის შემსწავლელთა ინფორმაციულობა მხოლოდ და მხოლოდ იმ თანამედროვე გმირებითა და მოვლენებით შემოიფარგლება, რომლის უზრუნველყოფასაც ვიზუალური სანახაობები: საინფორმაციო არხები, ვიდეო რგოლები, ინტერნეტწყაროები ახორციელებს. კულტურულ სიღრმეებს კი, რომელიც ენობრივი კოლექტივის ეროვნულ სულს, ლიტერატურულ ტრადიციებს, სტერეოტიპული წარმოდგენების შედეგად პრეცედენტად ქცეულ პირებსა თუ მოვლენებს წარმოადგენს, სამწუხაროდ ქართველი ენის შემსწავლელი არ იცნობს.

ჩემი რეკომენდაციებიც ენის შესწავლის პროცესში არსებული ამ ხარვეზის აღმოფხვრას ემსახურება: ენის შესწავლისას აუცილებელია კულტურული ელემენტების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა: ენის სწავლის პროცესში დონესთან ადაპტირებულად ენობრივი კოლექტივის კულტურის ამსახველი ლიტერატურის მიწოდება; სასურველია ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონის შემუშავება, რომელიც ერის კულტურის ასახვის საფუძველზე ენის შემსწავლელზე შესასწავლი ენის სულიერი სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და შედეგად, ერთაშორის ჯანსაღ კომუნიკაციას განაპირობებს.

საძიებო სიტყვები: უცხო ენის შესწავლა; კულტურული ფონი; ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონი; ერთაშორისი კომუნიკაციების ხელისშემშლელი ფაქტორები; პრეცედენტული ერთეულები.

შესავალი

შესასწავლი ენის კონცეპტუალური სამყაროს აღქმა ენის შესწავლის პროცესის შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს წარმოა-

დგენს. ენის შემსწავლელი სწავლის დაწყებიდან გარკვეული დროის შემდეგ, ნელ-ნელა, მცირე დოზებითა და დონესთან ადაპტირებული სახით შესასწავლი ენის კონცეპტუალურ სამყაროს, გარკვეული ერის კულტურული ცხოვრების ხშირი ვიზიტორი უნდა იყოს.

დამეთანხმებით, ეს არცთუ ისე მარტივი საკითხია. ენის გრამატიკული სტრუქტურის აღქმა-შესწავლის პროცესთან ერთად შესასწავლი ენის წიაღში არსებული სხვადასხვა რეალიების, ენობრივი კოლექტივის კულტურული ფონის აღქმა საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს და მხოლოდ და მხოლოდ შესასწავლი ენის მშობლიურ ლიტერატურულ ტრადიციებზე დიდი დოზით ზიარების შედეგად არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ენის ფლობის ცნება, ენობრივი სტრუქტურის გარდა, შესასწავლი ენის კულტურასაც მოიცავს, რადგანადაც, როგორც ცნობილია, ენისა და კულტურის შერწყმის შედეგადაა მხოლოდ და მხოლოდ ერთაშორისი ჯანსაღი კომუნიკაცია შესაძლებელი.

ჩემი განხილვის თემას თურქული ენის მიღმა არსებული ეროვნულ-კულტურული სამყაროს შესწავლის სირთულეები და ენისადმი კონცეპტუალური მიდგომის საკითხში სხვადასხვა რეკომენდაციებზე, მათ შორის, ლინგვოკულტუროლოგიული ლექსიკონის როლზე მსჯელობა წარმოადგენს.

ენის შესწავლის საკითხში ლექსიკონის უზარმაზარი როლი ყველასათვის ცნობილია. უთვალავი წელია, რაც ლექსიკონები იწერება და შესაბამისად უთვალავჯერ მოხდა მისი სტილისა და ფორმის შეცვლა. საერთოდ, ლექსიკონი იქმნება ახალი ადრესატის, ახალი მოთხოვნილების შესაბამისად, რადგანაც მოვლენები, რომელიც ხდება საზოგადოებაში, აისახება ენაში ლექსიკური კორექციის, სინტაქსისა და სიტყვათა ფორმირებების ელემენტების სახით. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ლექსიკოგრაფიული შემოქმედება მუდამ განახლებადი უნდა იყოს. სრულყოფილი ლექსიკონი სოციუმში არსებულ ყველა სფეროს, მათ შორის: ლიტერატურას, რელიგიას, ისტორიას, კანონს და ა.შ.

სფეროებს უნდა ემსახურებოდეს. ლექსიკონური ფორმა უნდა წარმოადგენდეს ენციკლოპედიას, რომლის ძირითად პრინციპს როგორც ენობრივ ელემენტთა თავისებურება, ასევე სიტყვის მიღმა არსებული კონცეპტუალური სამყაროს გათვალისწინება წარმოადგენს (ახვლედიანი, 2018:10).

აქვე უნდა აღინიშნოს, ქართულ-თურქულ ლექსიკოგრაფიაში არსებული, შეიძლება ითქვას სავალალო მდგომარეობა: ქართულ-თურქული ლექსიკონების უმრავლესობა ძირითადად ცნობარის სახეს ატარებს, შეიცავს სიტყვათა მნიშვნელობების მწირ ინფორმაციას და ორიენტირებულია ენის ლექსიკური მარაგის ზედაპირულ ცოდნაზე. ხშირ შემთხვევაში, არსებული ლექსიკონები არ იძლევა სიტყვის ფართედ გაშლილ კონტექსტუალურ განმარტებას, მოცემულია სიტყვის მხოლოდ ერთი ან ორი ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საილუსტრაციო მასალას, სიტყვის შესახებ ელემენტარულ მორფოლოგიურ ინფორმაციას და ა.შ. თურქული ენის მომხმარებელთა მზარდი ბაზრის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ეს ლექსიკონები საჭიროებენ სერიოზულ დახვეწას სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ჯანსაღი კომუნიკაციის განხორციელებისა და კულტურათშორისი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად კი ენის შემსწავლელმა ერის ეროვნულ-კულტურული სივრცე, რომელიც ენობრივი კილექტივის გონებასა და აზროვნებაშია დალექილი, მშობლიური ენის მსგავსად უნდა აღიქვას. ერის კულტურულ მეხსიერებაში წვდომის ესოდენ რთულ საქმეში კი დახმარებას ლინგვოკულტურული ლექსიკონები უწევს, რომლის არსი და მიზანი ენისადმი კონცეპტუალური მიდგომაა.

შესასწავლი ენის ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონი ასაღწერი ფენომენების შესახებ ენციკლოპედიური ინფორმაციის მოწოდებას უნდა ემსახურებოდეს. ლექსიკონმა უნდა მოგვცეს ინფორმაცია ეროვნულ-კულტურული საზოგადოების დისკურსში ასაღწერი ფენომენის თავისებურებებსა და დისკურსში მისი როლის შესახებ, რომელიც შემდგომში ამა თუ იმ სახელის „სემა-

ნტიკის“ განმსაზღვრელად მოგვევლინება. ლინგვოკულტურულმა ლექსიკონმა უნდა მოგვეცეს ინფორმაცია იმ პრეცედენტულ პირთა, გმირთა თუ მოვლენათა შესახებ, რომელიც ნათლად დაგვიხატავს განსაზღვრული ერის ეროვნულ-კულტურული საზოგადოების დისკურსის რეალურ მდგომარეობას და წარმოდგენას შეგვიქმნის ერის სულიერი ღირებულების შესახებ. ამ ლექსიკონის მიერ დაფიქსირებულ რეალიათა ისტორიულ ცვლილებებზე კონცენტრირება თავის მხრივ წარმოგვიჩენს მოვლენათა მნიშვნელობებს, შეძლებისდაგვარად მოახერხებს ამა თუ იმ ფენის წარმომადგენელთა დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა აღწერას, შემუშავებულს მისი საზოგადოებრივი სტატუსის საფუძველზე, გვიქმნის წარმოდგენას გარკვეულ ეპოქაში სტერეოტიპების არსებობასა და მათი გამეფების მიზეზებზე.

ქართულ ენის შემსწავლელთა მიერ შესწავლის პროცესში არსებული ენის (თურქული ენის) კულტურული ფონის შესახებ ინფორმაციულობის დაფიქსირება ჩემს მიერ ჩატარებული ანკეტური კვლევის საფუძველზე განხორციელდა.

გამოკითხულთა მიერ კულტურული ერთეულების: ზღაპრის, ლიტერატურული, ისტორიული გმირებისა და თანამედროვე გმირების: პოლიტიკოსების, სპორტსმენების, მომღერლების, მსახიობების, ხელოვნების მოღვაწეების შესახებ ინფორმაციის ანკეტაში დაფიქსირების საფუძველზე, საშუალება გვეძლევა დავაკვირდეთ, თუ რაოდენ კარგად იცნობს ქართული საზოგადოება შესასწავლი ენის კულტურულ ელემენტებს, რომელიც ერის ისტორიულ-კულტურულ წარსულს წარმოადგენს და თანამედროვე ღირებულებების და გმირების წარმოჩენას ედება საფუძვლად (ახვლედიანი, 2018:10).

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ოცდაორმა: (A2 დონე - 12 მონაწილე) და (B1 დონე – 10 მონაწილე) ენის შემსწავლელმა.

ამ დონეების არჩევა შემდეგმა ფაქტორმა განაპირობა: შემსწავლელს უკვე გავლილი აქვს ენის დამწყები და საბაზისო საფეხურები, რითაც ენის დამოუკიდებლად გამოყენებისა და მიღებული გრამატიკული ცოდნისა და დაგროვილი ლექსიკის საფუძ-

ველზე სოციუმში არსებული თემების ირგვლივ აზრის მეტნაკლებად ჩამოყალიბების საშუალება ეძლევა.

კვლევის მიზანია:

1. თურქული ენის შემსწავლელ ქართველთა შესასწავლი ენის (თურქული ენის) კულტურული ფონის, ეროვნული ღირებულებების შესახებ ინფორმაციულობის დაფიქსირება;
2. მიღებული ნათელი სურათის საფუძველზე საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდი

წერილობითი, ანკეტური კვლევა. შესასწავლი ენის კულტურული ერთეულების: ზღაპრის, ლიტერატურული, ისტორიული გმირებისა და თანამედროვე გმირების: პოლიტიკოსების, სპორტსმენების, მომღერლების, მსახიობების, ხელოვნების მოღვაწეების შესახებ ინფორმაციის ანკეტაში დაფიქსირების საფუძველზე, საშუალება გვეძლევა დავაკვირდეთ, თუ რაოდენ კარგად იცნობს ქართველი ენის შემსწავლელი შესასწავლი ენის კულტურულ ელემენტებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანკეტების დიდი ნაწილი ონლაინ რეჟიმში, ხოლო მცირე ნაწილი კი ხელით შეივსო. გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ანკეტები იყო ანონიმური, ფიქსირდებოდა მონაწილის მხოლოდ ეროვნება და ენის ფლობის დონე. საინტერესო იქნებოდა გენდერული თვალსაზრისით შევსების თავისებურებებსა და განსხვავებებზე საუბარი, თუმცა გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას ქალები წარმოადგენდნენ, ამიტომაც გენდერული თავისებურებები ცხადია ვერ დაფიქსირდა.

თურქული ენის შემსწავლელთათვის

თურქული ზღაპრის გამირები	თურქული ლიტერატურის გამირები	თურქი ისტორიული გამირები	თურქი თანამედროვე გამირები				
			პოლიტიკოსები	სპორტსმენები	მომღერლები	მსახიობები	ხელოვნების სხვა მოღვაწენი

საბოლოო სახით ჩამოყალიბებულმა პრეცედენტული სახელების ანკეტამ შემდეგი სახე მიიღო, ის ორ ნაწილად გაიყო:

I ნაწილს შეადგენს 3 სვეტი, სადაც ადგილს უკვე პრეცედენტად ქცეული: 1) ზღაპრის გამირები; 2) ლიტერატურული გამირები; 3) ისტორიული გამირები იჭერენ.

II ნაწილს შეადგენს 5 სვეტი, რომლებშიც წარმოდგენილია თანამედროვე გამირები: 1) პოლიტიკოსები; 2) სპორტსმენები; 3) მომღერლები; 4) მსახიობები; 5) ხელოვნების სხვა მოღვაწენი.

ანკეტის ორ ნაწილად გაყოფა შემდეგმა ფაქტორმა განაპირობა: ანკეტის პირველ ნაწილში მოცემული გამირები, უკვე პრეცედენტულ ერთეულებს წარმოადგენენ, ხოლო ანკეტის მეორე ნაწილის, ანუ თანამედროვე გამირების პრეცედენტულობა, რასაკვირველია სამომავლო საკითხს წარმოადგენს, რომელსაც ეროვნულ-კულტურული გამირებისადმი ერის დამოკიდებულება განაპირობებს (ახვლედიანი, 2018:10).

შედეგი

პრეცედენტულ სახელთა ანკეტური კვლევის შედეგებმა, რომლის მიზანს, ქართველების მიერ სწავლის პროცესში არსებ-

ული ენის კულტურის პრეცედენტულ ერთეულთა შესახებ ინფორმაციულობის დაფიქსირება წარმოადგენს, შემდეგი შედეგები დააფიქსირა:

ანკეტის მიხედვით, თურქულ კულტურულ სივრცეში, ქართველთა ინტერესს თანამედროვე გმირები წარმოადგენს. პოპულარობის მხრივ წამყვანი ადგილი დაიჭირა თანამედროვე თურქ მსახიობთა გრაფამ, რომელიც სრული ინტენსივობით შეივსო. ანკეტის მონაწილეთა, შეიძლება ითქვას, სრული უმრავლესობა ძალიან კარგად იცნობს ისეთი მსახიობების შემოქმედებას, როგორცაა: ქივანჩ თათლითურქი, ენგინ აქიურეკი, სავამ ბალდარი, ჰალით ერგენჩი, ბერგუზალ კორელი, ჯანსუ დერე, მურათ ილდირიმი.

მეორე ადგილი ერგო თანამედროვე თურქ მომღერლებს. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ქართველთათვის უცხო არ არის ისეთი მომღერლების შემოქმედება, როგორცაა თარქანი (დიდი უმრავლესობის მიერ დასახელდა), ირემ დემირჯი, ჯემ ქარაჯა და სეზენ აქსუ. ეს იმ მომღერალთა ჩამონათვალია, რომელსაც ყველაზე კარგად იცნობს ქართველი ენის შემსწავლელი.

პოპულარობის მხრივ მესამე ადგილი ერგო თურქ სპორტსმენებს. მსახიობებსა და მომღერლებთან შედარებით სპორტსმენთა ჩამონათვალი სიმწირით გამოირჩევა, თუმცა ანკეტის მონაწილეთაგან მხოლოდ რამდენიმემ მოახერხა ისეთი სპორტსმენების დასახელება, როგორცაა მესუთ ოზილი (3 მონაწილე), 2 მონაწილეს კი აქვს ინფორმაცია ზეჰრა გუნეშის, დორუქ ფეჰლივანის პიროვნებების შესახებ.

რაც შეეხება თანამედროვე პოლიტიკოსებს, აბსოლუტური უმრავლესობით დასახელდა რეჯეფ თაიფ ერდოღანი, უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი პოპულარობით ანკეტის არცერთი ერთეული არ დაფიქსირებულა, აჰმეთ დავუთოღლუს პიროვნებას კი იცნობს მხოლოდ 3 მონაწილე.

რაც შეეხება ისტორიულ გმირებს, გამოკითხულთა ხმების უმრავლესობამ პირველ რიგში სულთან სულეიმანი და შემდგომ კი, შედარებით ნაკლები ხმებით, მუსტაფა ქემალ ათათურქი

დასახელა. 1 ადამიანის მიერ დასახელდა ფათიჰ სულთან მეჰმეთი, 1 ადამიანის მიერ კი - ჰურემ სულთანი, სელიმ პირველი.

თანამედროვე ხელოვნების სხვა მოღვაწეთაგან, მხოლოდ 2 ადამიანის მიერ იქნა დასახელებული მწერალები: ელიფ შაფაქი და ორჰან ფამუქი.

რაც შეეხება თურქ ლიტერატურულ და ზღაპრის გმირებს, რომლებიც ენის კულტურული სამყაროს განუყოფელ ერთეულებად გვევლინებიან, აქ აბსოლუტურ სიცარიელეს წავაწყდით. 22 მონაწილეთაგან, მხოლოდ ერთმა შეძლო ზღაპრის გმირის - ქელოღრანის და ერთმა კი - ნასრედინ ჰოჯას დასახელება.

დასკვნა

ქართველთა ანკეტურმა გამოკითხვამ შემდეგი შედეგი დააფიქსირა: გამოკითხულთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით, ინფორმაციული თვალსაზრისით, თურქი მსახიობების გრაფა სარგებლობს. განსაკუთრებულად ბევრი ხმა იმ გმირებმა დააგროვეს, რომლებიც სერიალში გამორჩეული გარეგნობით, ვაჟკაცობითა და დადებითი თვისებებით გამოირჩევიან. ინფორმაციული სიუხვით მსახიობების გრაფას მცირედით ჩამოუვარდება და მეორე ადგილს იჭერს თანამედროვე მომღერლები. რაც შეეხება პოლიტიკოსებს: რესპოდენტების სრული უმრავლესობა, აფიქსირებს თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელს, ნაკლებად, მაგრამ მაინც ფიქსირდება ინფორმაცია თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმეთ დავითოღლუს შესახებ. რაც შეეხება ისტორიულ გმირებს, გამოკითხულთა ხმების უმრავლესობამ პირველ რიგში სულთან სულეიმანი და შემდგომ კი, შედარებით ნაკლები ხმებით, მუსტაფა ქემალ ათათურქი დაასახელა.

რაც შეეხება ინფორმაციას თურქული ლიტერატურისა და ზღაპრული სამყაროს შესახებ, რომლის სახასიათო ელემენტები ერის კულტურის, ისტორიის, წარსული ღირებულებების ანარეკლს წარმოადგენს, ორივე ჯგუფის მიერ შეიძლება ითქვას, შეუვსებელი დარჩა.

თანამედროვე და პრეცედენტულ სახელთა შესახებ ანკეტური მონაცემების შედარებისას, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ენის შემსწავლელები წარსულ ისტორიულ გმირებზე მეტად თანამედროვე გმირებით ინტერესდებიან. ამის მიზეზს, ვიზუალური ინფორმაციის სიუხვე (საინფორმაციო არხები, ვიდეო რგოლები, ინტერნეტწყაროები) შეიძლება წარმოადგენდეს, სადაც განსაკუთრებით აქტიურად ხდება პოლიტიკური მოვლენებისა და პირების წარმოჩენა. ვიზუალური ინფორმაციის როლმა ქართველების მიერ თანამედროვე თურქი მსახიობებისა და მომღერლების დაფიქსირებაშიც იჩინა თავი. მოგეხსენებათ, ბოლო წლებში ქართულ ტელეარხებზე დიდი დრო ეთმობა თურქულ ტერესერიალებს, რომელთა გმირების მიმართ ქართველთა განსაკუთრებულად დიდი ინტერესი ანკეტაშიც დაფიქსირდა.

დისკუსია

ანკეტურმა კვლევამ ნათლად დააფიქსირა:

1. ქართველი ენის შემსწავლელთა მიერ ენისადმი მხოლოდ ლინგვისტური მიდგომის შედეგი;

2. ერის კულტურული წარსულის შესახებ არაინფორმაციულობა, მხოლოდ იმ ინფორმაციათა ფლობა რის უზრუნველყოფასაც ტელეგადაცემები და ინტერნეტ სივრცე უხვად იძლევა (სერიალები, პოლიტიკა, გასართობი პროგრამები).

მიუხედავად თურქული ენის სწავლის პროცესში ყოფნისა და ასევე აქვე უნდა აღინიშნოს, ქართველთა და თურქთა ახლო მეზობლური ურთიერთობისა, ქართველი ენის შემსწავლელები დაპირისპირებული ენის კულტურული ფონის, ერის პრეცედენტული სახელების შესახებ ინფორმაციას ვერ ფლობენ. არა აქვთ ინფორმაცია შესასწავლი ერის ისტორიული წარსულის შესახებ, რომელიც ამა თუ იმ პირთა თუ მოვლენათა პრეცედენტად ქცევას, ერის კულტურულ გემოვნებასა და სულიერ ღირებულებებს უკავშირდება.

რეკომენდაციები

ჩემი რეკომენდაციებიც ენისადმი კონცეპტუალური მიდგომის გზებს ემსახურება: ენის შესწავლის მნიშვნელოვან ფაქტორ-

რად ენობრივი სისტემების გარდა, ერის ისტორიულ-კულტურული ცხოვრების გათვალისწინებაც გვევლინება, რომელიც კულტურათმორისი კომუნიკაციების წარმართვისა და ჯანსაღი კომუნიკაციის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს:

1. როგორც ანკეტამ გვიჩვენა, თანამედროვე სახელმძღვანელოები შესასწავლი ენის კულტურული ფონის ასახვას ვერ უზრუნველყოფს, ამიტომაც სასურველია სწავლების პროცესში ენის კულტურული ელემენტების ადაპტირებული სახით პროცესში ჩართვა. სასურველია შემუშავდეს სახელმძღვანელო, რომელშიც ენისადმი ლინგვისტური მიდგომის პარალელურად, უხვად და დონეზე ადაპტირებულად მოცემული იქნება ნაწყვეტები ერის ფოლკლორიდან, რომელიც შესასწავლი ენის ერის კულტურული ცხოვრების პრეზენტატორი იქნება.
2. სასურველია შემუშავდეს ჰუმანიტარულ-ენციკლოპედიური ხასიათის ერის კულტურის ამსახველი ლექსიკონები. მსგავსი ლექსიკონის სიტყვა სტატიაში ვრცლად იქნება მოთხრობილი ასაღწერი ფენომენის კულტურული შეხედულებების, სტერეოტიპული წარმოდგენებისა და დისკურსში მისი ადგილის შესახებ. ასეთი მენტალური ხასიათის ლექსიკონები საშუალებას მოგვცემს ისტორიული ექსკურსი მოვაწყოთ წარსულში და აღწერს რეალიების მიხედვით თანმიმდევრულად შევიცნოთ ერის სულიერი და კულტურული მდგომარეობა. სამწუხაროდ, მსგავსი არანორმატიული, ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონები, რომელიც როგორც ენის შემსწავლელისთვის, ასევე ნებისმიერი ერისთვის ნამდვილი საგანძური იქნება, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებში მოიპოვება, ქართულ-თურქულ ლექსიკოგრაფიას კი სამწუხაროდ, არ გააჩნია.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო ანკეტის მონაწილე ენის შემსწავლელებს, რომელთა წვლილიც ზემოხსენებული სასწავლო პროცესის ხარვეზების გამოვლენაში დიდია. ვიმედოვნებ, რომ ეს ნაშრომი, რომელიც არსებული ნაკლოვანებების

გამოვლენის საფუძველზე ენისადმი კონცეპტუალურად მიდგომის გზებს ემსახურება, შედეგზე ორიენტირებული რეკომენდაციების განხორციელების საქმეში გარკვეულ წილს შეიტანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ახვლედიანი, ზ. (2018). თანამედროვე ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფია და თარგმნის პრობლემები, bsu.ge/text_files/ge_file_10300_2.pdf
- Boz, E. (2011). *Leksikografi Teriminin Tanımı ve Türkçe Karşılığı Üzerine*. Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi, S. 4
- Захаренко, Красных, Гудкова, Гнозис. (2004). *Русское культурное пространство*;